

საბავშვო ბაღის აღმზრდელების ასაკი, პიროვნული ნიშნები და
სამუშაოში ჩართულობა

ნინო მაღლაფერიძე

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

სამაგისტრო ნაშრომი

სამცნიერო ხელმძღვანელი : ნინო სხირტლაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2020

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელშიც ნაშრომშია არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მაღლაფერიძე

05.07.2020

აბსტრაქტი

დღეისათვის მსოფლიოში გაზრდილია ინტერესი სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლების პროფესონალიზმისა და სამუშაოში ჩართულობის მიმართ, რომელიც შესაძლებელია ასავე დაკავშირებული იყოს მათ პიროვნულ ნიშნებთან. მასწავლებელთა პიროვნული ნიშნები მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის ეფექტურობისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის გაგება შეესაბამება თუ არა მასწავლებელთა პიროვნული თვისებები იმ გამოწვევებს, რაც სწავლების პროცესს ახლავს: ბავშვებთან კომუნიკაცია, მათი შესაძლებლობის გამოვლენა, ბავშვების საჭიროების დადგენა. ინფორმაცია პიროვნული ნიშნების შესახებ შეიძლება სასარგებლო იყოს მასწავლებელთა შერჩევის პროცესის დახვეწის, მასწავლებელთათვის ტრენინგების დაგეგმვისა და მათი პროფესიული ზრდისათვის. შესაბამისად ამას მოჰყვება საგანმანათლებლო შედეგების გაუმჯობესება.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, საბავშვო ბაღის აღმზრდელების პიროვნული ნიშნებისა და მათი სამუშაოში ჩართულობის ურთიერთკავშიროგანსაზღვრა. ასევე გვინტერესებდა თუ რა როლს შეასრულებდა აღმზრდელების ასაკის ცვლადი სამუშაოში ჩართულობასთან მიმართებაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ექსტრავერსია არის სამუშაოში ჩართულობის ერთადერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი, ექსტრავერსია გულისხმობს კარგი კომუნიკაციის უნარებსა და დადებითი ემოციების განცდისაკენ მიდრეკილებას. შესაბამისად ბუნებრივია, რომ საბავშვო ბაღის აღმზრდელის სამუშაოში ჩართულობის წინასწარმეტყველებისას მნიშვნელოვანი პრედიქტორი სწორედ ექსტრავერსია აღმოჩნდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები : სამუშაოში ჩართულობა, დიდი ხუთიანის მოდელი

Abstract

Nowadays, there is an increasing concern towards preschool teachers' professionalism and their engagement in the working process. This phenomenon might be connected with their personal qualities, which is crucial for the effectiveness of their work.

Consequently, it is important to understand whether the personal qualities of teachers correspond to the challenges which are common for the teaching process: communication with children, revealing their abilities, and understanding their needs. Information about teachers' personality traits might be useful for refinement of the process of teacher selection, planning trainings for teachers, and focusing on their professional growth, accordingly, all these, will lead to improved educational results.

The aim of the present study was to investigate the link between teachers personality traits and their engagement in work. We were also curious to know if the age could influence the degree of their involvement in work.

The results of the research showed that extroversion is the unique predictor of preschool teachers work engagement. Extraversion implies sociability and high energy. Having said that, it is natural that extraversion turned out to be an important predictor in prognostication of the engagement of preschool teachers in the working process.

Key words: Preschool teacher, Work engegment, Personalit traits.